



პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების –  
**SCHALI® Care – ML**  
სერიის მამაკაცის რექტალური სუპოზიტორების  
გამოყენების ინსტრუქცია  
სუნთქვის ორგანოების დაავადებები

1000

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

1000

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

1000

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

1000

**პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების -  
SCHALI® Care - ML  
სერიის მამაკაცის რექტალური სუპოზიტორების  
გამოყენების ინსტრუქცია  
სუნთქვის ორგანოების დაავადებები**

მამაკაცის რექტალურ სუპოზიტორებს **SCHALI® Care-ML** - აქვს საერთო გამაძლიერებელი და საერთო მასტიმულირებელი, ანტიმიკრობული და ანტიტოქსიკური მოქმედება, აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ პასუხს და განკუთვნილია სუნთქვის ორგანოების დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის.

**გამოშვების ფორმა:**

ცხიმოვანი პროფილაქტიკური სანთლები, 2 გ

**შემადგენლობა:**

კაკაოს კარაქი, გოგრის ზეთი, პროპოლისი, გვირილას ყვავილების ექსტრაქტი, ჟენშენის ფესვის ექსტრაქტი, ძირტკბილას ფესვის ექსტრაქტი, გრიფონიას თესლის ექსტრაქტი, E ვიტამინი, ტიტანის დიოქსიდი.

**მოქმედების მექანიზმი:**

სუპოზიტორები ნატურალური მცენარეული ზეთების, მინერალებისა და ფიტოექსტრაქტების ბაზაზე, სწორ ნაწლავში თანდათანობით გახსნისას, შეიწოვება სწორი ნაწლავის ქვედა ნაწილების ლორწოვანის მიერ და ახდენს ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელ მოქმედებას, ასევე ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. სუპოზიტორების მცენარეული და მინერალური კომპონენტები და მათი შემადგენელი ელემენტები გავლენას ახდენს ბრონქების ლორწოვანი გარსის უჯრედების მიერ გამოყოფილი ბრონქული სეკრეტის სინთეზზე, ზემოქმედებს ანთების ალტერნატიულ და ექსუდატიურ ფაზებზე, ხელს უშლიან რა ანთებითი პროცესის გავრცელებას.

ტიტანის დიოქსიდის ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედება ეფუძნება პეპტიდების, გლიკოზიდებისა და მსგავსთა არაგაჯერებული ქიმიური ბმების დეაქტივაციის უნარს, გარედან შემოსული ეგზოგენური და შიგნიდან შემოსული ენდოგენური მავნე ტოქსიკური შენაერთების მოცილების უზრუნველყოფით. ეს, თავის მხრივ, ანთებითი ხასიათის სხვადასხვა პათოლოგიების სიმპტომების აღმოფხვრის გამოხატულ ეფექტს ახდენს.


ანთების, ტკივილისა და ციების ძირითადი წარმომქმნელი ფერმენტის - ციკლოოქსიგენაზას აქტივობის დათრგუნვით ხდება დამთრგუნველი მოქმედება ანთების მიზებზე.

სუპოზიტორების რეგულარული გამოყენება ახდენს ანტიპროლიფერაციულ მოქმედებას, მიმართულად ზღუდავს მონოციტების მიგრაციას ანთების კერაში და აინჰიბირებს ფიბრობლასტების პროლიფერაციას.

სუპოზიტორების აქტიური კომპონენტები ასევე ახდენს ალერგიის საწინააღმდეგო მოქმედებას ალერგიის მედიატორების სინთეზისა და სეკრეციის შემცირების, სენსიბილიზირებული პოხიერი უჯრედებიდან და ბაზოფილებიდან ჰისტამინისა და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოთავისუფლების დამუხრუჭების, ცირკულირებადი ბაზოფილების რიცხვის შემცირების, ლიმფოციტური და შემაერთებელი ქსოვილის პროლიფერაციის დათრგუნვის, T- და B ლიმფოციტების, პოხიერი უჯრედების რაოდენობის შემცირების, ალერგიის მედიატორების მიმართ ეფექტორული უჯრედების მგრძობელობის შემცირების, ანტისხეულების წარმოქმნის დათრგუნვის, ორგანიზმის იმუნური პასუხის შეცვლის შედეგად.

გვირილის ყვავილებში არსებული პოლიფენოლების ფარმაკოლოგიური თვისებები განისაზღვრება მათი შემეკვრელი მოქმედებით. პოლიფენოლები პრაქტიკულად არ აღწევს უჯრედების შიგნით და არ შეიწოვება მათ მიერ. ისინი ახდენენ ცილების კოაგულაციას, რომლებიც შეიძლება თხელ ფენად ეკვროდეს ლორწოვანსა და მის კრიპტებს (ჯირკვლების სეკრეტსა და სხვ.). ცილების რაოდენობა მკვეთრად იზრდება ლორწოვანის ანთებისას, დამწვარ ან მექანიკურად ან სხვა მეთოდით დაზიანებული კანის ზედაპირზე.

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ძირტკბილას ფესვის ექსტრაქტი ავლენს მკაფიო ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიულ, ადაპტოგენურ და რეპარაციულ მოქმედებას.



პროდუქტი გამოიყენება როგორც ჰიგიენური მიზნებისთვის, პროფილაქტიკური მოქმედებით, ასევე მონოთერაპიის სახით, იმუნოსარეაბილიტაციო ზომების განხორციელებისას, კერძოდ, გადატანილი დაავადების შემდეგ არასრული გამოჯანმრთელებისას, ასევე სუნთქვის ორგანოების დაავადებათა ფართო სპექტრის კომპლექსური თერაპიისას, ანტიბიოტიკებსა და ანტივირუსულ საშუალებებთან ერთად.

პრეპარატს გააჩნია ჰიპოალერგენული მოქმედება.

### ჩვენებები:

- რეციდივული ბრონქიტი
- ხშირი გაციება
- რინიტი
- ფარინგიტი
- ლარინგიტი
- ოტიტი
- ანგინა

### გამოყენების წესი:

გამოიყენება რექტალურად. გამოყენების წინ გაათავისუფლეთ სუბოზიტორი კონტურული შეფუთვისგან. სუფთა ხელებით ფრთხილად შეიყვანეთ სუბოზიტორი უკანა ტანში, გვერდზე მწოლიარე მდგომარეობაში. შეიყვანეთ 1 სუბოზიტორი დღეში 2-ჯერ, 30 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კურსის გახანგრძლივება 90 დღემდე.

### გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები არაა გამოვლენილი.

არ ვითარდება დამოკიდებულება და არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

### უკუჩვენებები:

უკუჩვენებები არაა გამოვლენილი.

### შენახვის წესები:

პროდუქტი უნდა ინახებოდეს დაუზიანებელ შეფუთვაში გრილ ადგილზე, +4°C-დან + 15°C-მდე ტემპერატურაზე.

### ვარგისიანობის ვადა:

ვარგისიანობის ვადა შეადგენს გამოშვების თარიღიდან 24 თვეს.

არაა რეკომენდირებული პროდუქტის გამოყენება შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

**SCHALI® Care** სერიის კომპლექსური საშუალებები იწარმოება ლიცენზია № 286-S საფუძველზე.

